სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი”

პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი, ვერიფიკაციის მექანიზმები

ფოთი

2023

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" წესდებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე და განსაზღვრავს მოდულური, დუალური (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა) და ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესს.

2. კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, კვალიფიკაციის მინიჭებისთვის დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისება ხდება კოლეჯში და/ან პარტნიორ ორგანიზაციაში სასწავლო გეგმის შესაბამისად;

4. პროფესიული სტუდენტი კოლეჯში ეუფლება თეორიულ ცოდნას და გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს;

მუხლი 2. შეფასების პრინციპები

1. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალობას;

დ) სამართლიანობას;

ე) ობიექტურობას.

1.1. ვალიდურობა.

ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი, რომელიც არკვევს შეფასების მიზნის შესაბამისობას სწავლის შედეგთან; ვალიდურობა იძლევა შესაძლებლობას მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურდეს პროფესიული სტუდენტის კონკრეტული კვალიფიკაციის ფარგლებში შესაბამისი ცოდნა და უნარები. შეფასება არავალიდურია იმ შემთხვევაში, თუ შეფასების მოთხოვნები მიზანთან/სწავლის შედეგთან შეუსაბამოა;

1.2. სანდოობა.

სანდოა შეფასება თუ:

1.2.1. შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;

1.2.2. გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;

1.2.3. ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

1.2.4. ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.

1.3. ობიექტურობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა.

1.3.1. ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.
1.3.2. მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.

1.3.3. სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო.

1.3.4. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამორიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

მუხლი 3. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.

2. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს);
3. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას (დანართი №1);

4. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს დანართი №2-ით წარმოდგენილ ფორმას;

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.

მუხლი 4. შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (დანართი №2)

შეფასების ინსტრუმენტში სავალდებულოდ მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

1) ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ.
2) საგანმანათლებლო დაწესებულება;
3) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
4) ჯგუფის №
5) მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი;
6) პროფესიული განათლების მასწავლებლის/შემფასებლის სახელი და გვარი;
7) პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი;
8) შეფასების თარიღი;
9) შესაფასებელი სწავლის შედეგი;
10) შესაფასებელი შესრულების კრიტერიუმები;
11) შეფასების მიმართულება;
12) შეფასების ინსტრუმენტი;
13) შეფასების პროცესის აღწერა;

14) შინაარსი;

15) შეფასების მტკიცებულება;

16) რომელიმე კრიტერიუმის ან სწავლის შედეგის ვერდადასტურების შემთხვევაში განმეორებითი შეფასების პროცედურები;

17) შეფასების სქემა/შეფასების კრიტერიუმები;

18) სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების ცხრილი შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად;

19) საბოლოო შედეგი: .....(სწავლის შედეგი დადასტურდა ან ვერ დადასტურდა)

20) პროფესიული განათლების მასწავლებლის/შემფასებლის ხელმოწერა;

21) პროფესიული სტუდენტის/შესაფასებელი პირის ხელმოწერა;

მუხლი 5. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა

1. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.

2. მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებიდან.

3. მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში მეთოდოლოგიური დახმარებისთვის მიმართოს კოლეჯის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მხარდაჭერის სპეციალისტს.

4. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებულ პროექტებს იხილავს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში.

5. მოდულის განმახორციელებელი მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისათვის.

6. ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) სამუშაო დღით.

7.ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია.

8. შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის მიერ ხელმოწერილი, ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

9. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის მიერ ხელმოწერილ, ვალიდურ შეფასების ინსტრუმენტს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორის მოადგილე, შეფასების თარიღამდე არანაკლებ 2 დღით ადრე.

მუხლი 6. ვერიფიკაციის პროცედურა

1. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

2.ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- შეფასების შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);
- ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
- ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;
- ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ).

3. შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა) - კოლეჯს შემუშავებული აქვს რისკების სისტემა,რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს, კერძოდ:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი);
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;
- კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯში მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

თითოეული რისკ-ფაქტორი დაყოფილია დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ რისკ-ფაქტორად და მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. კერძოდ:

- დაბალი რისკ-ფაქტორი - 1 ქულა;
- საშუალო რისკ-ფაქტორი - 2 ქულა;
- მაღალი რისკ-ფაქტორი - 3 ქულა;
- კრიტიკული რისკ-ფაქტორი - 4 ქულა.

იმ შემთხვევაში, თუ რისკ-ფაქტორია დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი, ფასდება მის მიერ განხორციელებული ყველა მოდულის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებები შერჩევის მოცულობის მიხედვით. მტკიცებულებები შეირჩევა მარტივი შემთხვევითი პრინციპით საკმარის რაოდენობამდე.

#	**რისკ-ფაქტორები**	**მინიჭებული ქულა**	**შერჩევის მოცულობა**
1	კოლეჯში მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი	1 ქულა	მტკიცებულებათა 50%
2	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი	1 ქულა	მტკიცებულებათა 50%
3	კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი	2 ქულა	მტკიცებულებათა 60%
4	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი	2 ქულა	მტკიცებულებათა 60%
5	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი	3 ქულა	მტკიცებულებათა 70%

6	მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი)	3 ქულა	მტკიცებულებათა 70%
7	კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი	3 ქულა	მტკიცებულებათა 70%
8	დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი	4 ქულა	მტკიცებულებათა 80%

4. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში.

5. ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები თავის ფუნქციებს ახორციელებენ დანართი N 3-ის შესაბამისად.

6. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით.

7. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება დანართი №4-ით განსაზღვრული სქემის შესაბამისად.

8. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შედგება დასკვნა (დანართი №5), რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა.

9. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მოადგილე და სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, ერთობლივად ადგენენ დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს.

10. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა.

მუხლი 7. შეფასების მტკიცებულება

1. შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ციფრული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში.

2.შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს.

3. შეფასების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

4. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს შეფასების მტკიცებულებები, ხოლო თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 (სამუშო) დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს იმ პროფესიული სტუდენტების შესახებ, რომლებმაც ვერ დაადასტურეს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. განმეორებითი შეფასებისას, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის

წინაპირობას, მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია შეფასების მტკიცებულებები სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს წარუდგინოს არაუგვიანეს ახალი მოდულის დაწყებამდე 1 დღით ადრე.

4. პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის განხილვის დროს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი შეგროვებულ მტკიცებულებებს სტუდენტთა პორტფოლიოს სახით წარუდგენს საკვალიფიკაციო კომისიას, ხოლო შემდეგ მტკიცებულებები სტუდენტთა პორტფოლიოს სახით გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით.

5. შეფასების მტკიცებულებები/სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია უწყისის გაფორმებიდან (დანართი №6) 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

6. მტკიცებულებები/სტუდენტთა პორტფოლიოები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.

მუხლი 8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის

კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის შეფასება

1. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანამიმდევრულად შესრულება. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებას მთელ რიგ პრინციპებზე დაყრდნობით შეაფასებს.

2. პროფესიულ სტუდენტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის, რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა, ან ამ მოდულის რომელიმე სწავლის შედეგის/შესრულების მტკიცებულების ვერდადასტურების შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე სწავლის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი.

3. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის რომელიმე სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმის ვერდადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ პროგრამის დასრულებამდე ან/და მოდულის/პროგრამის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. განმეორებითი შეფასებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს როგორც ახალი, ასევე უკვე გამოყენებული ინსტრუმენტი.

5. თუ პროფესიული სტუდენტი დადგენილი წესით ვერ დაადასტურებს იმ მოდულის სწავლის შედეგ(ებ)ს, რომელიც წარმოადგენს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე გასავლელი რომელიმე მოდულის წინაპირობას, ვერ გადადის სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგის დადასტურების/შეფასების გასაჩივრების პროცედურა

1. თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება არასამართლიანად ჩათვალა, მან გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიმართოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების

გადასინჯვა.

2. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას პროფესიულ სტუდენტთან და კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია შეადგინოს კომისია, რომელიც უნდა შეიკრიბოს საჭიროების დადგომიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, კომისიის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად.

მუხლი 11. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

1. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება კოლეჯში შესაძლებელია განხორციელდეს დუალური ან კორპორაციული სწავლების ფორმით. დუალური სწავლება გულისხმობს კოლეჯისა და სასწავლო საწარმოს მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში, ხოლო კორპორაციული სწავლება - კოლეჯისა და სასწავლო საწარმოს მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
2. სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ხოლო მიმდინარე და შუალედური შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.
3. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ხორციელდება დუალური მიდგომით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული მოდულების გავლის შემდეგ, უტარდება შუალედური გამოცდა, რომლის შემდეგაც, ფორმდება ხელშეკრულება და პროფესიული სტუდენტი გადადის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე.
4. შუალედური გამოცდის შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. პროფესიული სტუდენტის შედეგები და რეკომენდაციები თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, რომელსაც სავალდებულოა გაეცნოს სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი.
5. დუალური მიდგომით განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი წარმოებაში გადის, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ინსტრუქტორის (შემდგომში - ინსტრუქტორის) ხელმძღვანელობით.
6. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დროს სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულებების შექმნა, შეგროვება და შენახვა ხორციელდება ამ წესის დანართი №7-ის შესაბამისად. (შეფასების უწყისის ფორმა - დანართი №8)

მუხლი 12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი

1. ეს მუხლი განსაზღვრავს კოლეჯში იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
2. დადასტურება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალურ დამოწმებას.

3. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი და განმავითარებელი, ასევე, არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.
4. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში, განმავითარებელი შეფასება - პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის.
5. პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.6. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომია არის შეფასების ჰოლისტური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, ხოლო თემა – ინტეგრირებული ზოგადი მოდულის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რომლის ფარგლებშიც, კომპლექსური დავალებების საშუალებით ხდება სწავლის ყველა შედეგზე მუშაობა.
7. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე კომპლექსურ დავალებას ასრულებს. თითოეული თემის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სწავლის შედეგზე მუშაობა (კომპლექსური დავალებების საშუალებით).
8. კომპლექსური დავალება შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის საშუალებითაც წარმოჩინდება პროფესიული სტუდენტის მიღწევები ინტეგრირებული ზოგადი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგთან/შედეგებთან მიმართებით.
9. შეფასებისას, სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების გამოყენება. დასაშვებია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთი კომპლექსური დავალებით შეფასება.
10. კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ეფუძნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომიას.
11. ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.
12. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე (დანართი №9) დანართით №10 წარმოდგენილი შეფასების ფორმის შესაბამისად.
13. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევა.
14. პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია (შემდგომში – დადასტურების კომისია) ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:
ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;
ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება.
15. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
16. დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

1.პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო (შემდგომში – პორტფოლიო) – პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო თემების მიხედვით.
2. კოლეჯი უზრუნველყოფს პორტფოლიოს სრულფასოვნად შევსებას.
3. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზებას, დადგენილი წესის შესაბამისად.
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მოდულის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, პორტფოლიოში ასახოს პროფესიული სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები.
5. პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. ვადის ამოწურვის შემდეგ მტკიცებულებები ექვემდებარება განადგურებას.
6. პორტფოლიო შეიცავს შემდეგ მონაცემებს: პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი (არსებობის შემთხვევაში), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, ინტეგრირებული მოდულის სახელწოდება, თემის დასახელება, კომპლექსური დავალების შინაარსი და ნომერი, პროფესიული სტუდენტის მიერ კომლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასება და მიცემული უკუკავშირი, კომპლექსური დავალების მიცემის, შესრულების და პორტფოლიოში მისი განთავსების თარიღები.

მუხლი 14. დადასტურების კომისია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

1. დადასტურების კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელიც უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.
2. დადასტურების კომისია შედგება არანაკლებ 5 (ხუთი) წევრისაგან, კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და წევრებისგან. კომისია შესაძლოა დაკომპლექტებული იყოს კოლეჯის ადმინისტრაციის, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების, სხვა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან და სხვა.
3. დადასტურების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.
4. დადასტურების კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
5. დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.
6. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დადასტურების კომისიის მიერ ვერიფიკაციის პროცესის სრულფასოვანი განხორციელების ხელშეწყობა.

მუხლი 15. კვალიფიკაციის მინიჭება

1. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს კოლეჯის პრეროგატივას.

2. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ჩარიცხულმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, რომლის შემდეგაც დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისია ახდენს პროფესიული

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება-განხილვას და შედეგების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტზე კვალიფიკაციის მინიჭება/არმინიჭების თაობაზე;

3. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება კოლეჯის დირექტორს. კოლეჯის დირექტორი საკვალიფიკაციო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას და გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროფესიულ სტუდენტზე/ებზე შესაბამისი დიპლომის გაცემის შესახებ.

4. პროფესიულ სტუდენტზე, მათ შორის სსსმ პირზე, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგები, ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა პროგრამის გავლის დამადასტურებელი ცნობა, მოთხოვნის შემთხვევაში, დაძლეული სწავლის შედეგების მითითებით.

16. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი (დუალური პროგრამები)

1. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი ადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პირობებს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა. 2.აღნიშნული წესის მიზანია უზრუნველყოს ერთიანი პროცედურით საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება და ჩატარება.

3. საკვალიფიციო გამოცდის მიზნებია განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და კვალიფიკაციის მინიჭება.

4.იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა ყველა იმ პროფესიული სტუდენტისთვის, რომელმაც დაასრულა პროგრამა, ჩააბარა შუალედური გამოცდა და სრულყოფილად აქვს შევსებული პროფესიული სტუდენტის ჟურნალი.

5.საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებას და განხორციელებას შესაძლოა ახდენდეს უშუალოდ კოლეჯი ან პარტნიორი ორგანიზაცია - ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე. პარტნიორი ორგანიზაციის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, ოფიციალურად შეიძლება განისაზღვროს სხვა დამატებითი საკითხებიც.

6. საკვალიფიკაციო გამოცდა შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისაგან.

7.თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩატარების ვადების განსაზღვრა ხდება წინასწარ განმახორციელებელ მხარეებთან შეთანხმებით. საგამოცდო თარიღი, კომისიის შემადგენლობა და დამკვირვებლები განისაზღვრება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. თეორიული გამოცდის ჩატარება ხდება პრაქტიკულ გამოცდამდე და დროის შუალედი თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდას შორის არ უნდა აღემატებოდეს 2 კვირას.

9. საკვალიფიკაციო გამოცდის მიმართ წაყენებული მოთხოვნებია:

ა) საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;

ბ) საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დადასტურებული რამდენიმე დარგობრივი უნარის დემონსტრირებას.

10. საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხები მოიცავს:

ა) დავალებ(ებ)ის შინაარსს;

ბ) დავალებ(ებ)ის შესრულების დროს;

გ) შეფასების კრიტერიუმებს;

დ) დავალებ(ებ)ის შესრულების პირობებს.

11. თეორიული გამოცდა ტარდება კოლეჯში და ფასდება 100 ქულით.

12. თეორიული გამოცდა ხორციელდება შემდეგნაირად:

ა) საგამოცდო საკითხების შემუშავება ხდება გავლილი მოდულებისა და სწავლის შედეგების მიხედვით და მათი რაოდენობა განისაზღვრება საკითხის სირთულიდან გამომდინარე;

ბ) საგამოცდო საკითხები მუშავდება კოლეჯის მიერ ან პარტნიორი ორგანიზაციის მიერ ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე;

გ) გამოცდა ტარდება წერილობითი სახით და მისი ხანგრძლივობაა 120 წუთი;

დ) თეორიული გამოცდის საგამოცდო კომისია განისაზღვრება მინიმუმ სამი წევრით, რომელშიც შესაძლოა შედიოდეს მინიმუმ შესაბამისი დარგის ორი პროფესიული განათლების მასწავლებლი და/ან პარტნიორი ორგანიზიის წარმომადგენლი;

ე) საგამოცდო კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ პროფესიული სტუდენტის ნამუშევარს და წერენ შეფასებას/ქულას;

ვ) საბოლოო ქულა არის კომისიის წევრების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკული, თუმცა, ქულებს შორის დიდი სხვაობის შემთხვევაში (5 ქულა ან მეტი), კომისიის წევრებს შორის თავიდან განიხილება პროფესიული სტუდენტის ნამუშევარი საერთო ქულის შეჯერების მიზნით;

ზ) გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, მინიმუმ 51 ქულის დაგროვების შემთხვევაში. თუ ნამუშევარი განსაზღვრულზე ნაკლები ქულით შეფასდა, კანდიდატი არ დაიშვება პრაქტიკულ გამოცდაზე;

თ) თეორიულ გამოცდას ესწრება ერთი ან ორი დამკვირვებელი;

13. პრაქტიკული კომპონენტის გამოცდა ტარდება ერთ-ერთ სასწავლო საწარმოში ან კოლეჯის შესაბამის ლაბორატორიაში. გამოცდის ორგანიზება ხორციელდება შემდეგნაირად:

ა) პრაქტიკული გამოცდის მომზადება და დაგეგმვა ხორციელდება დარგის სპეციალისტ(ებ) ის/პროფესიული განათლების მასწავლებლ (ებ) ის და კომპანიის ინსტრუქტორ (ებ) ის მიერ;

ბ) დარგის სპეციალისტ(ებ)ი/პროფესიული განათლების მასწავლებლ(ებ)ი შეიმუშავებენ საგამოცდო საკითხებს გავლილი პროფესიული მოდულების და სწავლის შედეგების მიხედვით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ, ან პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე;

გ) საგამოცდო კომისია განისაზღვრება მინიმუმ სამი წევრით: მინიმუმ ორი დარგის ექსპერტი და ერთი კოლეჯის წარმომადგენელი;

დ) პრაქტიკული კომპონენტი ფასდება 100 ქულით;

ე) გამოცდის ხანგრძლივობაა 3 საათი;

ვ) გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, მინიმუმ 51 ქულის დაგროვების შემთხვევაში;

ზ) საბოლოო ქულა არის კომისიის წევრების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკული, თუმცა, ქულებს შორის დიდი სხვაობის შემთხვევაში (5 ქულა ან მეტი), კომისიის წევრებს შორის განიხილება პროფესიული სტუდენტის ნამუშევარი საერთო ქულის შეჯერების მიზნით;

თ) პრაქტიკულ გამოცდას ესწრება ერთი ან ორი დამკვირვებელი.

14. განმეორებითი გამოცდის ჩატარების პროცედურებია:

ა) იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი საპატიო თუ არასაპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება საკვალიფიკაციო გამოცდაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ გავიდეს გამოცდაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

ბ) განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება განცხადების წარდგენიდან 2 კვირის განმავლობაში.

გ) განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა არის პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის არ მინიჭების საფუძველი.

15.თეორიული გამოცდის შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში.

16. პრაქტიკული გამოცდის შედეგები ცხადდება საკვალიფიკაციო გამოცდის დამთავრების შემდეგ, იმავე დღეს.

17. საგამოცდო პროცესის დამკვირვებელი ვალდებულია:

ა) გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე და აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;

ბ)რეგისტრაციაში გაატაროს პროფესიული სტუდენტები და ხელმოწერით ან მონიშვნით დააფიქსირებინოს გამოცდაზე გამოცხადება;

გ) გამოცდის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტს გააცნოს საგამოცდო წესები, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს გამოცდის მიმდინარეობის პროცესში;

დ) პროფესიულ სტუდენტთა თვალწინ გახსნას დალუქული კონვერტი და დაარიგოს საგამოცდო ტესტები.

ე) დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში;

ვ) გასცეს პასუხი პროფესიული სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს;

ზ) არ გასცეს პასუხი საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე;
თ) მკაცრად აკონტროლოს პროფესიული სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა. მათი დარღვევის შემთხვევაში იმოქმედოს წინამდებარე წესის შესაბამისად;

ი) პროფესიული სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, ჩამოართვას საგამოცდო ფურცლები. საგამოცდო ფურცელზე გააკეთოს წარწერა – ,,მოხსნილია გამოცდიდან" მიზეზის მითითებით, მოაწეროს ხელი და გადასცეს კოლეჯის ადმინისტრაციას;

კ) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გააფრთხილოს პროფესიული სტუდენტები საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ;

ლ) გამოცდის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს ჩამოართვას ნამუშევრები და გადასცეს ისინი შესამოწმებლად კომისიის წევრებს;

მ) უზრუნველყოს ნამუშევრების კონფიდენციალობის დაცვა;

ნ) არ დატოვოს მისთვის განსაზღვრული სექტორი, გამოცდის დასრულებამდე.

18. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე გამოცდის დაწყებამდე 30 წუთით ადრე (დაგვიანების ან სხვა დროს გამოცხადების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება);

ბ) გამოცდის დაწყებამდე წარმოადგინოს საკვალიფიკაციო გამოცდის შესაბამისად განსაზღვრული ყველა საჭირო დოკუმენტაცია (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, პროფესიული სტუდენტის ჟურნალი და სარეგისტრაციო ბარათი);

გ) მაგიდაზე არ განათავსოს არც ერთი ნივთი, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ნივთებისა (საჭიროების შემთხვევაში);

დ) შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა. დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ, ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება;

ე) არ დაიწყოს საგამოცდო ნაშრომზე მუშაობა, ვიდრე არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა;

ვ) გამოცდის მიმდინარეობისას დაიცვას ეთიკის კოდექსითა და ამ წესით გათვალისწინებული ნორმები;
ზ) საჭიროების შემთხვევაში, ხელის აწევით მიმართოს დამკვირვებელს შეკითხვით, ისე რომ ხელი არ შეუშალოს სხვა პროფესიულ სტუდენტებს;

თ) დაემორჩილოს საგამოცდო პროცესის დამკვირვებლის მითითებებს და გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი გამოცდიდან მოხსნის შესახებ;

ი) საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე დროულად ჩააბაროს ნამუშევარი.

19. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს გამოცდისთვის სათანადო პირობები (სამუშო სივრცე, განათება);

ბ) საგამოცდო ოთახში შეიტანოს სასმელი წყალი;

გ) გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება.

20. გამოცდაზე აკრძალულია:

ა) საგამოცდო ნაწერის შესრულება იმ ფურცლებზე/საგამოცდო ფურცლებზე, რომელიც დამკვირვებელს არ დაურიგებია;

ბ) საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ საგამოცდო სივრცის დატოვება წერის სრულად დამთავრებამდე, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა;

გ) გამოცდის პროცესის დროს საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება (აღნიშნულ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან);

დ) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა;

ე) მობილური ტელეფონების გამოყენება კალკულატორად;

ვ) სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;

ზ) სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა აუდიტორიის გარეთ გამოცდის პერიოდში;

თ) სხვა პროფესიული სტუდენტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა;

ი) სხვა პირის დახმარება, სხვა პროფესიული სტუდენტისგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით;

კ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება ან მუშაობის გაგრძელება;

ლ) საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება, მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით.

21. პროფესიული სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძვლებია:

ა) პროფესიული სტუდენტი გაფრთხილების გარეშე იხსნება გამოცდიდან, თუ აღმოჩენილ იქნება ლექსიკონი, ე. წ. „შპარგალკა“, მობილური ტელეფონი, აიპადი, კალკულატორი, დამხმარე მასალა (გარდა ნებადართული შემთხვევისა), ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);
ბ) წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურცხყოფა, ან სხვა მსგავსი შემთხვევა;

გ) გამოცდაზე გამოცხადება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

დ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდაზე გამოცხადება.

22. ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას პროფესიული სტუდენტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდიდან მოხსნას პროფესიული სტუდენტი.

23. არ გასწორდება იმ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი, რომელიც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას; ნაშრომზე დააწერს სახელს, გვარს (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ფურცლისა), ან გააკეთებს პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე ინფორმაციას, ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან.

24. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

25. გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესი:

ა) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს;

ბ) საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი, დარგის სპეციალისტი, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი და/ან სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი;

გ) კოლეჯი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს;

დ) კომისიას უფლება აქვს ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი და დატოვოს იგივე შეფასება, ან დაწეროს უფრო მაღალი/დაბალი ქულა;

ე) კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

ვ) პროფესიულ სტუდენტს გადაწყვეტილება ეცნობება იმავე დღეს.

მუხლი 17. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება

1.პროფესიულ სტუდენტს საკუთარი შეფასების შედეგები ეცნობება ინდივიდუალურად ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და ინდივიდუალური გასაუბრებით.

მუხლი 18. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ კურსების მსმენელთა შეფასება

1.პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში და ტრენინგკურსებში მსმენელის შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
2. სწავლის შედეგების შეფასება ხოციელდება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების შესაბამისად. შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე პროგრამის დასრულებისას.
3. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში და ტრენინგკურსებში.
4. იმ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში და ტრენინგკურსებში, რომლის გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (სასწავლო საწარმოში/კომპანიებში) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი.
5. შეფასების შედეგები მსმენელს ეცნობება იმავე დღეს.

6. რომელიმე სწავლის შედეგის/შედეგების ვერდადასტურების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ პროგრამის დასრულებამდე ან/და დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, დანართით №11 წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისად.

7. პროგრამის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან/ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან შეთანხმებით ნიშნავს განმეორებით განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. განმეორებით შეფასებაზე მსმენელის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.
8. გასაჩივრების შემთხვევაში შეფასების გაცნობიდან მაქსიმუმ ორი სამუშაო დღის ვადაში მსმენელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს.
9. დირექტორი საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის განხილვის ან არგანხილვის თაობაზე.

10. წერილობითი განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი განცხადება არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

11. დირექტორის დავალებით მსმენელის ნაშრომის შეფასება დაევალება სხვა შემფასებელს, რომელიც ერთი დღის ვადაში ახდენს ნაშრომის განმეორებით შეფასებას.
12. გასაჩივრების დაკმაყოფილების და მსმენელის შეფასების მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ, შემფასებელი ვალდებულია აღნიშნული ასახოს შეფასების უწყისში.
13. შეფასების შედეგი მსმენელს ეცნობება იმავე სამუშაო დღეს.
14. შეფასება ფიქსირდება აღრიცხვის ჟურნალის ბოლო გვერდზე.
15. კოლეჯი არაა ვალდებული შეინახოს შეფასების მტკიცებულებები.
16. პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ კურსების დასრულების შემდეგ ფორმდება შესაბამისი უწყისი (დანართი 8), რომელიც ინახება უვადოდ.
17. პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ კურსების დასრულების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

დანართი №1

შეფასების მიმართულება და მტკიცებულებები

№	ინტრუმენტი	მტკიცებულება	პროცესზე დაკვირვება	მტკიცებულების (პროდუქტის/შედეგის) შეფასება	გამოკითხვა (აკადემიური უნარები)
1	ტესტი				
1.1.	„ჭეშმარიტია/მცდარია“ პასუხის შემცველი კითხვები	შევსებული ტესტი			
1.2.	მტკიცებულების/ მიზეზის შემცველი კითხვები (მრავალი არჩევითი პასუხით)	შევსებული ტესტი			
1.3.	გამოტოვებული სიტყვების ჩასმა	შევსებული ტესტი			
1.4.	კითხვები - შესაბამისობის დადგენა	შევსებული ტესტი			
1.5.	ბადისებრი შეკითხვები	შევსებული ტესტი			
1.6.	კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით	შევსებული ტესტი			
1.7.	მრავალჯერადი პასუხის შემცველი კითხვები	შევსებული ტესტი			
1.8.	კითხვები შეზღუდული არჩევანით	შევსებული ტესტი			
2	წერითი დავალება (წერითი ნაშრომი)	წერითი ნაშრომი			
3	შემთხვევის შესწავლა (Case Study)	წერითი ნაშრომი შევსებული შეფასების სქემა (Checklist)			
4	კითხვები ღია დაბოლოებით	შევსებული ტესტი			
5	ზეპირი შეკითხვები (შეიძლება წარმოადგენდეს ყველა მიმართულების შემადგენელ ნაწილს)	შევსებული შეფასების სქემა(Checklist) ან/და აუდიო ჩანაწერი			
6	სტრუქტურირებული შეკითხვები	წერითი ნაშრომი შევსებული შეფასების სქემა (Checklist)			
7	პროექტი	წერილობითი ანგარში ან/და ელექტრონული ფაილი			
8	პროფესიული განხილვები	პორტფოლიო; მასწავლებლის ჩანაწერი; აუდიო ან/და ვიდეო ჩანაწერი			
9	პრაქტიკული დავალება	შექმნილი პროდუქტი; დაკვირვების			

		ჩანაწერი; ფოტო სურათები; ვიდეო ჩანაწერი; პრაქტიკის დღიური;ელექტრონული ბლოგი			
10	როლური თამაში	მასწავლებლის შევსებულიშეფასების სქემა(Checklist); ვიდეო ჩანაწერი			
11	სიმულაცია	მასწავლებლის შევსებული შეფასების სქემა(Checklist); ვიდეო ჩანაწერი			
12	კომპლექსური დავალება	შესრულებული დავალება; წერითი ნაშრომი			

დანართი №2
„ვამტკიცებ“
დირექტორის მოადგილე:
..... „.....“ .....20 წ.
„შეთანხმებულია“
სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი

.....

შეფასების ინსტრუმენტი

საგანმანათლებლო დაწესებულება .....
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება .....
ჯგუფის № .....
მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი .....
პროფესიული განათლების მასწავლებელი .....
პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი .....
შეფასების თარიღი: .....

შესაფასებელი სწავლის შედეგი	
შესაფასებელი შესრულების კრიტერიუმები	
შეფასების მიმართულება	
შეფასების ინსტრუმენტი	
შეფასების პროცესის აღწერა	
შინაარსი	
შეფასების მტკიცებულება	
რომელიმე კრიტერიუმის ან სწავლის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში განმეორებითი შეფასების პროცედურები	რომელიმე სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმის ვერდადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ პროგრამის დასრულებამდე ან/და მოდულის/პროგრამის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
შეფასების სქემა/შეფასების კრიტერიუმები	

შესრულების კრიტერიუმები											შენიშვნა
შედეგის დადასტურება											
შედეგის ვერ დადასტურება											

საბოლოო შედეგი:.....(სწავლის შედეგი დადასტურდა ან ვერ დადასტურდა)
პროფესიული განათლების მასწავლებელი: / /
პროფესიული სტუდენტი:----------/ /

პრაქტიკული დავალების შეფასების ფურცელი

საგანმანათლებლო დაწესებულება-სსიპ კოლეჯი „ფაზისი“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება –
ჯგუფის ნომერი №
მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -
პროფესიული განათლების მასწავლებელი –
პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი .....
შეფასების თარიღი:

სწავლის შედეგი	შესრულების კრიტერიუმები	შეფასების კრიტერიუმები	დადასტურდა	ვერ დადასტურდა

საბოლოო შედეგი: .....(სწავლის შედეგი დადასტურდა ან ვერ დადასტურდა)

პროფესიული განათლების მასწავლებელი: / /

პროფესიული სტუდენტი:----------/ /

მოთხოვნა შეფასების სისტემის მიმართ	განმარტება	სისტემის რომელ ნაწილს ეხება	შემოწმების მიდგომა
ვალიდური	შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.	შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის ექსპერტის მიერ
სანდო	შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.	შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის ექსპერტის მიერ
გამჭვირვალე	შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პიროსათვის.	შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის შესწავლა, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში), შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება (შესაძლებლობის შემთხვევაში).
სამართლიანი	შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.	შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის შესწავლა, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში), შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება (შესაძლებლობის შემთხვევაში).
ობიექტური	შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.	შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი

ეტაპზე პასუხისმგებელი
მონაწილე
ინფორმირება

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	ხარისხის მართვის მენეჯერი	ვერიფიკატორი (განათლება)	ვერიფიკატორი (დარგი)	ინსტრუმენტის შემდგენელი	შემფასებელი	სტუდენტი	სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მხარდაჭერის სპეციალისტი/ მენეჯერი/ პროგრამის ხელმძღვანელი	დაწესებულების ხელმძღვანელი
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა								
ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა								
ვერიფიკატორების შერჩევა								
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი								
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება								
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა								
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა								
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით								
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება								
მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება								
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება								
მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება								
შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება								
წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად								
შეფასების დროის საკმარისობის შეფასება								
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება								
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება								
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება								
შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება								
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით								
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა								
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემობებზე								
შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)								
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა								
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)								
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)								
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)								

ვერიფიკაციის დასკვნა

მოდული/სწავლის შედეგი .....

შემფასებელი.....

შეფასების პერიოდი .....

ვერიფიკატორი .....

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი ----------

სისტემის ნაწილი	შემოწმების მიდგომა	ინდიკატორი	დიახ/ არა	მტკიცებულება არას შემთხვევაში	რეკომენდაცია
ვალიდურობა					
შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.					
შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა განათლების სპეციალისტის მიერ	შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით			
სანდოობა					
შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.					
შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა განათლების სპეციალისტის მიერ	ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება			
	მტკიცებულებათა შესწავლა განათლების სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება საკმარისია,ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო			
გამჭვირვალეობა					
შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.					
შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა(პირობების ნაწილში)	რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
	შეფასებული პირის ინტერვიურება, სხვა მტკიცებულება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა			

		სტუდენტმა შეძლონ ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს)			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირებისთაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			
სამართლიანობა					
შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში თუ იქნა ჩაყენებული.					
შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასება შესაბამის გარემოშიადაგეგმილი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა(პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა(პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვისგათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა			
	შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა(შესაძლებლობის შემთხვევაში).	შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით			
ობიექტურობა					
შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.					
შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			
		სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			

დანართი №6

პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
ჯგუფი №:
მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი:
შემფასებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი:
პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი ----------
კვალიფიკაციის დონე:
კრედიტების რაოდენობა:

სწავლის შედეგი	შესრულების კრიტერიუმები	შეფასების მიმართულება	შეფასების მტკიცებულება	შეფასების თარიღი	შემფასებელი	შედეგი (დადასტურდა/ვერ დადასტურდა)

შემფასებლ(ებ)ის ხელმოწერა: ----------

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ----------

მტკიცებულებათა შენახვის ადგილი:

თარიღი: ----------

დანართი №7

პრაქტიკული სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულებების შექმნა, შეგროვება და შენახვა



დანართი №8

მოდულის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების/შეფასების უწყისი N

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება:
ჯგუფი №:
მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი[1]:
პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სახელი, გვარი ----------
დადასტურების თარიღი:
დადასტურების ადგილი:

N	სწავლის შედეგი	შეფასება	ხელმოწერა	დაკავებული პოზიცია
1				
2				
3				
4				
5				

კომენტარი:

[1] ეს ველი არ ივსება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში.

კომპლექსური დავალების შეფასების დონეები

1: პრესტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გააზრებული საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს.
2: უნისტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.
3: მულტისტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვa
4. მიმართებითი დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეესაბამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი სტრუქტურირებულია და ამგვარად, პროფესიულ სტუდენტს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზშედეგობრიობის კუთხით.
5. აბსტრაქტული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან, იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.

დანართი №10

პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი №:	
ჯგუფის №:	
პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი:	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:	
ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო №:	
თემის/თემატური ბლოკის დასახელება:	
თემის/თემატური ბლოკის განხორციელების პერიოდი:	

საკითხი	კომპლექსური დავალების დასახელება/იდეა	ცნება	ქვეცნება ქვესაკითხი	(კომპლექსური დავალების) შეფასების კრიტერიუმები	შეფასება (თემის ფარგლებში)
	(ივსება განხორციელებული კომპლექსური დავალების რაოდენობის გათვალისწინებით) № 1				სამიზნე ცნება[1] პრესტრუქტურული დონე ☐ უნისტრუქტურული დონე ☐ მულტისტრუქტურული დონე ☐ მიმართებითი დონე ☒ აბსტრაქტული დონე ☐
	№ 2				<u>სამიზნე ცნება</u> პრესტრუქტურული დონე ☐ უნისტრუქტურული დონე ☐ მულტისტრუქტურული დონე ☒ მიმართებითი დონე ☐ აბსტრაქტული დონე ☐
	№ 3				<u>სამიზნე ცნება</u> პრესტრუქტურული დონე ☐ უნისტრუქტურული დონე ☐ მულტისტრუქტურული დონე ☒ მიმართებითი დონე ☐ აბსტრაქტული დონე ☐ <u>სამიზნე ცნება</u> პრესტრუქტურული დონე ☐ უნისტრუქტურული დონე ☐ მულტისტრუქტურული დონე ☒ მიმართებითი დონე ☐ აბსტრაქტული დონე ☐

[1] შეფასების გრაფაში სამიზნე ცნების დასახელება და რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტულ მოდულში არსებული სამიზნე ცნებების გათვალისწინებით.

პროფესიული სტუდენტის მიერ კომპლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება/პროდუქტი:	(მიუთითეთ მტკიცებულებების/პროდუქტების ბმული ან საიდენტიფიკაციო №)	
პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების დასაბუთება:	(დაასაბუთეთ თემის ფარგლებში დამუშავებული სამიზნე ცნებების ან/და სწავლის შედეგების მიხედვით, განხორციელებული კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით)	
პროფესიული განათლების მასწავლებლის განმავითარებელი შეფასება:	1. სტუდენტის მიღწევების აღწერა 2. რჩევა სტუდენტს 3. მასწავლებლის თვითრეფლექსია	
განმეორებითი შეფასება [2] (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ☐	(№) დავალების მიცემის თარიღი:	
	დავალების შესრულების თარიღი:	

დავალების პორტფოლიოში განთავსების თარიღი:

პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა:

[2] საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზება მის მიერ დადგენილი წესით.

დანართი №11

„ვამტკიცებ“
დირექტორის მოადგილე:
„.....“ .....20__წ.
„შეთანხმებულია“
სასწავლო პროცესისა და სასწავლო
პრაქტიკის მენეჯერი

შეფასების ინსტრუმენტი

საგანმანათლებლო დაწესებულება
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება –
ჯგუფის №
პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი –
მსმენელის სახელი, გვარი .....
შეფასების თარიღი:

შესაფასებელი სწავლის შედეგი	
შეფასების მეთოდი	
შეფასების ინსტრუმენტი	
შეფასების პროცესის აღწერა	
შინაარსი	
შეფასების მტკიცებულება	
რომელიმე სწავლის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში განმეორებითი შეფასების პროცედურები	რომელიმე სწავლის შედეგის/შედეგების ვერდადასტურების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ პროგრამის დასრულებამდე ან/და დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
შეფასების სქემა	

სწავლის შედეგი					
შედეგის დადასტურება					
შედეგის ვერ დადასტურება					

საბოლოო შედეგი---------- (სწავლის შედეგ(ებ)ი დადასტურდა ან ვერ დადასტურდა)
პროგრამის განმახორციელებელი / პროფესიული განათლების მასწავლებელი
მსმენელი: ----------